



გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი



თბილისი
2025

საქართველოს კონსტიტუცია მუხდი 29. გარემოს დაცვის უფლება

ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სახეებდობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება, ეხოუდად მიიღოს სხუდი ინფოხმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება, ბიუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უბიუნვედყოფილია კანონით.



გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი



შვედეთი
Sverige



მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გაეხოს განვითარების პიოგამის (UNDP) და შვედეთის ხედშეწყობით.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გუნდი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს შემდეგი ღირებულებებით:

ჩვენ გვსურს, მუდმივად ნოვატორები ვიყოთ გარემოსდაცვითი და აგარარული მიმართულებით ცოდნის გადაცემასა და ადვოკატირებაში. პერიოდულად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების გზებს.

ხელს ვუწყობთ გარემოსდაცვითი და აგარარული განათლების პროფილის გაძლიერებას არაფორმალური განათლების მიმართულებით, დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციას და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ისე, რომ თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება გარემოსადმი და ამგვარად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის მდგრად განვითარებაში.

თავისუფლება

ჩვენ ვქმნით გარემოს, სადაც გუნდის თითოეულ წევრს თავისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა აქვს, თავისუფალია ცოდნის გადაცემაში.

მრავალფეროვნება

ჩვენ ღია ვართ განსხვავებული გამოცდილების და თვალსაზრისის მქონე ადამიანებთან, ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობისთვის. განვიხილავთ სიახლეებს, განსხვავებულ აზრებს, წინადადებებს, მოსაზრებებს.

ეროვნულ და საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობა

ჩვენი პარტნიორები არიან, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები იმისთვის, რომ შევქმნათ და გავავრცელოთ რელევანტური, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა გარემოსდაცვითი და აგარარული მიმართულებით.

ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა

ჩვენი თითოეული ნაბიჯი, პროექტი მიმართულია ქვეყნის მდგრადი განვითარებისკენ. ვზრუნავთ, წარვმართოთ საზოგადოების ჩართულობის პროცესი ისე, რომ მიღწეულ იქნას მათი სათანადოდ მონაწილეობა გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებში და ხელი შეეწყოს საზოგადოების პასუხისმგებლიანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

გარემოსდაცვითი განათლების ისტორია

გარემოსდაცვითი განათლების ისტორია XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. საერთაშორისო საზოგადოებამ გარემოსდაცვითი განათლების მიზნები, ამოცანები და პრინციპები პირველად ჩამოაყალიბა ბელგრადის 1975 წლის ქარტიაში, რომლის განვითარება მოხდა 1977 წელს ქ. თბილისში გამართულ პირველ საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო კონფერენციაზე “გარემოსდაცვითი განათლების შესახებ”. კონფერენციაზე მომზადდა **“თბილისის დეკლარაცია”**, რომელშიც ჩამოყალიბდა ფორმალური და არაფორმალური გარემოსდაცვითი განათლების სისტემის სტრუქტურა, როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. ნათლად განისაზღვრა გარემოსდაცვითი განათლება, როგორც „სასწავლო პროცესი, რომელიც იწვევს ადამიანის ცოდნისა და ცნობიერების დონის ამაღლებას გარემოსა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ, ავითარებს აუცილებელ უნარებს და ექსპერტულ ცოდნას გამოწვევების გადასაჭრელად და სტიმულირებას უწევს მიდგომებს, მოტივაციებსა და ნაკისრ ვალდებულებებს, რათა მიღებულ იქნეს კარგად არგუმენტირებული გადაწყვეტილებები და განხორციელდეს პასუხისმგებლიანი ქმედებები”.

გარემოსდაცვითი განათლება გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა და გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია (ორპუსის კონვენცია) დემოკრატიის განმტკიცების ინსტრუმენტად განიხილება. საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ორპუსის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა (2000 წ). რატიფიცირებით ქვეყანამ აიღო კონვენციით აღიარებული 3 პრინციპის - ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის - დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების ვალდებულება.

სწორედ ამ პროცესების მონაწილე და ხელშემწყობი არის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, რომელიც 2013 წელს შეიქმნა ორპუსის ცენტრის ბაზაზე. ცენტრის მანდატს მიეკუთვნება გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა, ცნობიერების ამაღლება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა და გარემოსდაცვითი და აგრარული ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ საკითხებს მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებებსა და პროცესებში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია, არა მხოლოდ გარემოს, არამედ ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოსდაცვითი დემოკრატიის ხელშეწყობის კუთხით.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შესახებ

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დაარსდა 2013 წლის 14 მაისს ორპუნის ცენტრის ბაზაზე.

ცენტრის ძირითადი მიზნებია:

- საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა
- გარემოსდაცვით და აგრარულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხების პოპულარიზაცია მდგრადი განვითარების მიზნების ხელშესაწყობად

ჩამოთვლილი მიზნების განსახორციელებლად ცენტრი წლების განმავლობაში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან აქტიურ საქმიანობას ეწევა, როგორც განათლების, ისე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების” შესაბამისად. ამავე დროს, ცენტრი მოქმედებს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შინაგანაწესის, ორპუნის კონვენციის პრინციპებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ცენტრი თავისი საქმიანობის ფარგლებში იზიარებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ სტრატეგიის ხედვებსა და მიმართულებებს.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის

“განათლება მდგრადი განვითარებისთვის” სტრატეგიის პრინციპების შესაბამისად ცენტრი უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით ფორმალური, არაფორმალური და არაოფიციალური განათლების ხელშეწყობას, ფერმერების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე სხვა დაინტერესებულ პირთა შესაძლებლობების გაძლიერებას ტრენინგების, სასწავლო პროგრამების, კურსების, საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალების ხელმისაწვდომობის გზით. ასევე, სამინისტროს სისტემაში დასაქმებულ პირთა შესაძლებლობების გაძლიერებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი მდგრადი განვითარების მიზნებისთვის

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის საქმიანობა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიმართულებით, ეროვნულ დონეზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ცენტრი ახორციელებს პროგრამებს სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების მიმართულებით, ამავდროულად, შეიმუშავებს საგანმანათლებლო მასალებს და ახორციელებს ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს. მხარს უჭერს მდგრადი განვითარების ყველა მიზანს, განსაკუთრებით აქტიურად კი ახორციელებს პროგრამებს შემდეგი მიზნების ფარგლებში:



ხარისხის პოლიტიკა

ცენტრი მუდმივად ზრუნავს, გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით და მჭიდროდ ითანამშრომლოს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

მომსახურების გაწევის პროცესში დაცულია საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები, მიმდინარეობს მომხმარებლის საჭიროებების შესწავლა. მომხმარებლის კმაყოფილების დონის კვლევის ანალიზის საფუძველზე ხდება ხარისხის გაუმჯობესება.

გენდერული თანასწორობის საკითხების მეინსტრიმინგის უზრუნველყოფის მხარდაჭერის მიზნით ატარებს შესაბამის ტრენინგებს სამინისტროს თანამშრომლებისთვის.

ცენტრის შენობა მოიცავს სასწავლო და სამუშაო პროცესისთვის განკუთვნილ სივრცეებს, რომლებიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დასაქმების პოლიტიკა მიმართულია ადამიანური რესურსის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შრომითი საქმიანობის სფეროს გაფართოებისკენ. ამ მიზნით, ცენტრი “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ვაკანსიებს და ახორციელებს ახალი კადრების მიღებას ღია კონკურსის წესით. დასაქმების მსურველთათვის განაცხადების განთავსება ხდება, როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე - hr.gov.ge, ისე ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - eiec.gov.ge.

ცენტრში დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელს ეძლევა კვალიფიკაციის ამაღლებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა.

ამასთან, ცენტრი მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი თემებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს, შეიძინონ პროფესიული უნარ-ჩვევები თეორიული და პრაქტიკული მიმართულებებით. ამ მიზნით, ცენტრი პერიოდულად აცხადებს სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამებს, რომელთა ფარგლებშიც ხდება მოტივირებული ახალგაზრდების შერჩევა გასაუბრების საფუძველზე და მათი ჩართვა ცენტრის ყოველდღიურ აქტივობებში.

ირინა ქუთათელაძე

„ჩემი კახიეისი ეთ-ეთი პიხველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები კახემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან ასოცირდება. ცენტრში სტაჟიჟება 2017 წელს დავიწყე, სწოხედ მაშინ მივხვდი, რომ მომცა ძალიან დიდი შესაძლებლობა, მემუშავა ჩემი საყვარელი პოფესიით და დამეწყო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ეს იყო პიხველი სამსახური საჯარო სექტორში, სადაც 5-წლიანი მუშაობის განმავლობაში ვიყავი სტაჟიოი, პოფექტის ასისტენტი, პოფექტის კოორდინატოი, კახემოს საინფორმაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი და ასევე, ეხოებით ვასხედები კახემოს საინფორმაციო სამსახურის უფოსის მოვადობასაც. ვფიქრობ, საკმაოდ მხავადუფოვანი და საინტეხესო გზა კავიაჟე ცენტრში და მივიღე უდიდესი გამოცდილება, ჰამაც ჩამომაყადია კვალიფიციუჟი კადრად და მომცა საშუალება თამამად და წახმატებით გადამეგზა შემდგომი ნაბიჯები ჩემი პოფესიული განვითარებისთვის. ამჟამად ვმუშაობ კახემოს ეხოვნულ სააგენტოში, ეთ-ეთი მნიშვნელოვანი სსიპ-ში კახემოს დაცვის სფეროში და ვფიქრობ, მიღებული გამოცდილებით და ახალი გამოწვევებით შემიძღია, კიდეც უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანო კახემოს დაცვასა და კახემოზე მიყენებული ზიანის გამოსწოხებაში“.



აქტიური საგანმანათლებლო საქმიანობიდან გამომდინარე, ცენტრმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროების სხვადასხვა მიმართულების ტრენერთა ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით შეიმუშავა დარგის ექსპერტის შერჩევის კრიტერიუმები, რომლის შესაბამისადაც გამოცხადდა კონკურსი. ამ ეტაპზე კონკურსში მონაწილე 164 კანდიდატიდან შერჩეულია 129 ტრენერი, რომლებიც არიან ცენტრის **ტრენერთა ერთიანი ბაზის წევრები** და საჭიროების შესაბამისად, ცენტრის მიერ დაგეგმილ ტრენინგებსა და სასწავლო კურსებში არიან დასაქმებულები.

ტრენერთა ერთიანი ბაზის განახლება ყოველწლიურად ხორციელდება.



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი და საერთაშორისო პარტნიორები

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორისაა გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), ევროკავშირი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის

საზოგადოება (GIZ), კლიმატის მწვანე ფონდი (GCF), ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი (WFD), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE), ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი (IUCN), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), შვედეთის, შვეიცარიის, გერმანიის და იაპონიის მთავრობები, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE), გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ), გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია (UNIDO), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში (UNESCO) და სხვა.

თამარ ალადაშვილი

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი



“საერთაშორისო პატივმოყვარეობა თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სწოხი და შედეგზე ორიენტირებული გახედვისდაცვითი და ავტომატური განათლების ხედვისდაცვითი. საქართველო 30-ზე მეტი მრავალმხრივი გახედვისდაცვითი ხელშეწყობების მხატვა, რომელთა ფაჩვებშიც აღებული ვადებებების შესახებ და დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით. საერთაშორისო პატივმოყვარეობის მხატვარული მიმდინარე პოეტიკები ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას, ინფორმაციის ხელმძღვანელობასა და ადამიანის გონიერებას და მდგომარეობაზე ორიენტირებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე გახედვის დაცვისა და სოფლის მეურნეობის მიმართებით უწყვეტი განათლების ყველა ეტაპზე.”

შეიძინე ქოლგა და უნარიანი უკეთესი გარემოს შესაქმნელად



From
the People of Japan



შვედეთი
Sverige



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC



Austrian
Development
Agency



Funded by
the European Union

giz Deutsche Gesellschaft
für Internationale
Zusammenarbeit (GIZ) GmbH



WFD



UNECE



Bundesministerium
für wirtschaftliche Zusammenarbeit
und Entwicklung



- ▶ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს
- ▶ პროგრამას „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“
- ▶ პროგრამას „გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში“
- ▶ გარემოსდაცვით და აგრორულ ახალგაზრდულ პროგრამებს
- ▶ ტრენინგებს
- ▶ ლექცია-სემინარებს
- ▶ საჯარო განხილვების დაგეგმვას, ორგანიზებას, მოდერაციას
- ▶ საინფორმაციო შეხვედრებს, კამპანიებსა და თემატურ კონკურსებს
- ▶ ონლაინ სასწავლო კურსებს
- ▶ სასერტიფიკატო გამოცდებს

ვის შეუძლია ისარგებლოს ცენტრის სერვისებით?

- ▶ მოსწავლეებს
- ▶ სტუდენტებს
- ▶ აღმზრდელ-პედაგოგებს
- ▶ მასწავლებლებს
- ▶ ფერმერებს
- ▶ მემაცივრე-ტექნიკოსებს
- ▶ ფთორირებული სათბურის აირების შემცველი მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსებს და იურიდიულ და მენარმე ფიზიკურ პირებს
- ▶ სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებების თანამშრომლებს
- ▶ გარემოსდაცვითი და აგრორული თემებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს

სერვისები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

გარემოსდაცვითი მმართველი

სწავლების ფორმატი: **თეორიული და პრაქტიკული ნაწილი დასაშვებია - მხოლოდ პირისპირ**

სამიზნე ჯგუფი: **ნებისმიერი დაინტერესებული პირი**

პროგრამის ხანგრძლივობა: **4 კვირა**

საკონტაქტო პირი: **ეთერ ქავთარაძე**

ელ-ფოსტა: **Eter.Kavtaradze@eiec.gov.ge**

ტელ: **(032) 2 11 20 23, 599 17 52 73**

გარემოსდაცვითი მმართველის კურსი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს, დეტალურად შეისწავლოს ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით განერილი გარემოსდაცვითი მმართველის პასუხისმგებლობები და საჭირო უნარები. კურსი ასევე განკუთვნილია იმ ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების თანამშრომლებისთვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან ისეთ კომპანიებში, რომელთაც ნარმოქმნებათ სხვადასხვა ტიპის ნარჩენი და კოდექსი ავალდებულებს ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებას. კურსს უძღვებიან, როგორც საჯარო სექტორში დასაქმებული მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალები, ასევე კერძო სექტორში მომუშავე გარემოსდაცვითი ექსპერტები.

გარემოსდაცვითი მმართველის ვალდებულებების უკეთ გაცნობისათვის მონაწილეები გაივლიან ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა ნარჩენების მართვის კოდექსი და მისგან გამომდინარე ვალდებულებები, ინსპექტირების პროცედურები და კანონალსრულება. კურსი შედგება, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილისგან. მსმენელები თეორიულ სწავლებასთან ერთად იმუშავენ ელექტრონულ სისტემაში და განახორციელებენ სასწავლო/იმპროვიზაციულ ინსპექტირებას. კურსის განმავლობაში მონაწილეებს ჩაუტარდებათ ტესტირება, ასევე შეფასდება პრაქტიკული დავალების შედეგები. დადებითი შეფასების შემთხვევაში, გაიცემა კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

ალეკსანდრე ჩანაშალიანი

ბრანერი

გაჩემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი



“ნაჩენების მართვის თანამდევროვ სისტემის შექმნა და დანერგვა გაჩემოს დაცვის სფეროში ერთ-ერთი მთავარი პირობიტივული მიმართულებაა. ნაჩენების მართვის კოდექსით დაკისხებული ვალდებულებისა და თანამდევროვ სამუაიოს სტანდარტების გათვალისწინებით კეხმო კომპანიებისთვის ნაჩენების მართვის სფეროში შესაბამისი კაღის გადამზადება და კვლიფიკაციის ამაღლება მნიშვნელოვანია. დაჩუნებული ვაჩ, სეჩტიფიციებული კუხის “გაჩემოსდაცვითი მმათველი” აიის ძალიან კაჩი შესაძლებლობა, მსმენელმა შეიძინოს საკმაიის ცოდნა და გამოცილება აღნიშნულ სფეროში მოქმედი კვლიფიციუი კაღებისგან, ჩაც შემგომში მას საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში დაეხმარება. “გაჩემოსდაცვითი მმათველის” შესაძლებლობების გაძიეება კეხმო კომპანიისთვის, თავის მხივ, აიის მონაპოვაი, ჩაღან მას ეყრდება სეჩტიფიციებული და კვლიფიციუი თანამშრომელი ისეთ ჩიულ სფეროში, ჩოგოჩივ აიის გაჩემოს დაცვა”.

პროგრამის გასავლელად საჭირო ნაბიჯები

01

ივერტაცია განათლების ხაზის განვითაების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდი (www.vet.emis.ge)

02

გასაუბრება შესაბამის კომისიასთან

03

კუხის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გავლა

04

ტესტირების გავლა

05

პრაქტიკული დავალების შესრულება

06

სერტიფიკატის აღება

თქმის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია

სწავლების ფორმატი: თეორიული და პრაქტიკული ნაწილი დასაშვებია - მხოლოდ პირისპირ

სამიზნე ჯგუფი: სატყეო ან/და მომიჯნავე სფეროში ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები

პროგრამის ხანგრძლივობა: 12 კვირა

საკონტაქტო პირი: ეთერ ქავთარაძე

ელ-ფოსტა: Eter.Kavtaradze@eiec.gov.ge

ტელ: (032) 2 11 20 23, 599 17 52 73

ტყის ინვენტარიზაციისა და ტაქსაციის პროგრამის მიზანია, როგორც ტყესთან დაკავშირებული საბაზისო ცოდნის განმტკიცება, ასევე ტყის ინვენტარიზაციისა და ტაქსაციის სავსე პირობებში განხორციელებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება.

ტყის ინვენტარიზაციის ეტაპები მოიცავს კარტოგრაფიულ მასალებთან მუშაობას, სავსე პირობებში ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ მონაცემთა შეგროვებას, ანალიზსა და კამერალურ დამუშავებას, სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დანიშვნასა და დოკუმენტაციის შექმნას, მათ შორის, ინვენტარიზაციის საბოლოო პროდუქტის - ტყის მართვის გეგმის მომზადებას.

პროგრამა მოიცავს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ისე სავსე სწავლებას, რომელიც ხორციელდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის ფონდში. სავსე სწავლებისას სასწავლო დატვირთვა შეადგენს კვირაში 40 საათს და გულისხმობს საინვენტარიზაციო სამუშაოების შესრულებას, როგორც წინვით, ისე შერეულ ტყეში.

პროგრამის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება ორჯერ და გულისხმობს ზეპირ/წერილობით გამოკითხვას და პროექტის შესრულებას - ტყის ინვენტარიზაციის მაჩვენებლების საფუძველზე, ტყის მართვის გეგმის შედგენას. განმსაზღვრელი შეფასებების დადასტურება წარმოადგენს სერტიფიკატის გაცემის წინაპირობას.

ნათია იორდანიშვილი

ღრწანერი, ეროვნული საბავშვო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე



“კვადრიფიციური კაღის ნაკვებობა სატყეო სექტორის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად ჩრება. იმის გამო, რომ მრავალი წელი სექტორი ნაკვებად პირობიგტუი იყო, პირობისონად მეტყვევებზე მოთხოვნა შემცირდა, პირობისონად დაკავება პოპულარიზა ანადგარბებში და მივიღეთ თაობათა წყვეტა.

სექტორში მასშტაბუი ჰეფორმის დაწყების შემდეგ ეს პირობემა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ამ მიზნით გადაიდგა ანაეხთი ნაბიჯი, მოწესრიგდა საკანონმდებლო ბაზა, გაუმჯობესდა ტყის მართვის ორგანოების ინსტიტუციური მოწყობა და სხვა შესაძლებლობები, განახლდა და გაიზარდა სატყეო ღონისძიებების მასშტაბები, თუმცა, ეფექტიან კანონალსიულებას და სატყეო მეუიერობის გაძლოლას შესაბამისი ჰაოფერობის სპეციალისტები სჭიხდება და მათი დანალისი ყვებზე მეტად ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოების განახლებისას გამოჩნდა.

ტყის ინვენტარიზაცია ტყის მგვადი მართვის აუცილებელი წინაპირობაა, რომლის დროსაც ხდება ტყეების ჰაოფერობიი და ნახისობიი მარვენებლების შეფასება და საჭირო სატყეო ღონისძიებების დაგეგმვა, ჰაც მთავაია, ეს პეჩმანენტული პოცესია, რომელიც მუდმივად უნდა ბოიცილებოდეს და ტყის ანადგო კოდექსმა ის სავადლებულო პოცესიუადაც დაადგინა. ტყის ინვენტარიზაციის სავდე და კამეჩალუი სამუშაოები სატყეო განათლებას, სპეციიუი ცოდნასა და გამოცილებას საჭიოებს, ბოლო, მოთხოვნა ასეთ კაღზე მუდმივად მზაიი იქნება.

ტყის ინვენტარიზაციის და ტაქსაციის სასწავლო პიოგამა, ეხთი მხიი, ხელს უწყობს სატყეო განათლების განვითარებას ქვეყანაში, ბოლო, მეოიე მხიი, უზიუნველყოფს საკმაის ადამიანუი ჰესუსის ტყის ინვენტარიზაციის ნახისიანი და სწაფი განხორციელებისთვის.

სასწავლო კუხი, რომელიც ავტოიზიიებულია საქაითველოს განათლების ნახისის განვითარების ეოვნული ცენტრის მიე, აიის შესაძლებლობა, განსაკუთებით ანადგარბებისთვის, შეიძინონ დამატებითი ცოდნა და გამოიყენონ ის, ერთ-ერთ ყვებზე საინტეესო და საპასუხისმგებლო საქმეში, ქვეყნის ეოვნული საგანძუის - ტყის შენაჩუნებასა და გაუმჯობესებაში”.

პროგრამის გასავლელად საჭირო ნაბიჯები

01 **ჰეგისტრაცია განათლების ნახისის განვითარების ეოვნული ცენტრის ვებ-გვერზე (vet.emis.ge)**

02 **გასაუბრება შესაბამის კომისიასთან**

03 **კუხის თეოიიული და პრაქტიკული კომპონენტების გავლა**

04 **წეილობითი/ზეპიიი გამოკითხვა**

05 **პიოექტის შესილება**

06 **სეტიფიკაციის აღება**

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კლიმატგონივრული დაგეგმვა

სწავლების ფორმატი: **თეორიული ნაწილი დასაშვებია - მხოლოდ პირისპირ**

სამიზნე ჯგუფი: **ნებისმიერი დაინტერესებული პირი**

ხანგრძლივობა: **6 კვირა**

საკონტაქტო პირი: **ეთერ ქავთარაძე**

ელ-ფოსტა: **Eter.Kavtaradze@ieic.gov.ge**

ტელ: **(032) 2 11 20 23, 599 17 52 73**

პროგრამა განკუთვნილია პირთათვის, რომელთაც სურთ სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით კლიმატის ცვლილებით არსებული გამოწვევების გასაცნობად და გასამკლავებლად შესაბამისი კომპეტენციების (ცოდნისა და უნარების) განვითარება. პროგრამა მოიცავს:

- საქართველოში აგრო-ეკოლოგიური და კლიმატური ზონების მიმოხილვას
- არსებული კლიმატური პირობების გათვალისწინებით მემცენარეობასა და მეცხოველეობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკის გაცნობას
- კლიმატის ცვლილების სცენარების განმარტებას
- კლიმატის ცვლილების გავლენისა და სოფლის მეურნეობაზე პირველადი ეფექტის განხილვას
- კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და მისი ძირითადი მახასიათებლების არსსა და დანიშნულებას

პროგრამის ზოგადი მიზანია, მსმენელმა შეძლოს აგრო-ეკოლოგიური ზონების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრით, ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, შერჩეული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებისთვის (მემცენარეობა და მეცხოველეობა) კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა.

ნიმუშა დავალება

ბრანდარი, სოფლის მანვითარების სააგენტოს (RDA) რეგიონული მართვის სამსახურის უფროსი, განათლების ხარისხის მანვითარების აკადემიის პასუხად

“კლიმატის ცვლილება დიდ გავლენას ახდენს გახეივან და წახმოქმნის ახალ გამოწვევებს სოფლის მეურნეობაში, ხომეღთა დაძვევც მნიშვნელოვანია მგზადი განვითაჟებისთვის. შესაბამისად, დამკვიდრად ახალი მიდგომა - **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა**. ამ მიმართულებით თანამედროვე მიდგომების დანეჟგვა მნიშვნელოვანია საქართველოს სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად, გახეივან უახყოფითი ზემოქმედებისა და მექანნიზაციანე ფეჟმეჟთა დანახაჟების შესამციხებლად. სწოჟედ ამ მიდგომებმა განაპიჟობა კლიმატგონიჟილი სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო პიოგჟამის შექმნა.”



კურსის გასავლელად საჭირო ნაბიჯების ჩამონათვალი

01

ჟეგისგჟაცია განათების ხარისხის განვითაჟების ეოჟვნული ცენტრის ვებ-გვეჟდე (www.vet.emis.ge)

02

გასაუბრება შესაბამის კომნიასთან

03

კუხის თეოჟიული და პჟაქტიკული დავალებების გავდა

04

წეჟილობითი/ზეპიჟი გამოკითხვა

05

სეჟტიჟიკატის აღება

შეიძინე ქრონონ და უნარენი უსკოესი გარემოს შესაქმნელად

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება

სწავლების ფორმატი: შესაძლებელია როგორც ონლაინ, ისე - პირისპირ

სამიზნე ჯგუფი: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღზრდელ - პედაგოგები

პროგრამის ხანგრძლივობა: 1 დღე

საკონტაქტო პირი: მარიამ ხარებავა

ელ-ფოსტა: Mariam.Kharebava@ieic.gov.ge

ტელ: (032) 2 11 20 23, 599 18 64 57

პროგრამა „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმძღვანელო სტანდარტის გარემოსდაცვითი კომპონენტის შესაბამისად და მოიცავს შემდეგ თემებს:

- ბიომრავალფეროვნება ჩვენ გარშემო
- წყლის და ენერგიის დაზოგვა
- ნარჩენების მართვა
- კლიმატის ცვლილება

პროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში პრაქტიკოსს გადაეცემა სერტიფიკატი და პროგრამის ფარგლებში შემუშავებული დამხმარე სახელმძღვანელო.

წინო ტაბაძაძე

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის განათლების პროექტების სამსახურის უფროსი

ტრენერი

„სასკოლო მზაობის პირობების ფაქტორებში შემუშავებული სახელმძღვანელო „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ წახმატებით ინეგრება მთელი საქართველოს მასშტაბით. ბალის პრაქტიკოსებთან მუშაობა ჩემთვის საპასუხისმგებლო და სასიამოვნო პირობებია, ჩაგან მომავალ თაობაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბება მეტწილად, სწოხედ მათზეა დამოკიდებული“.



თამარ კახურაშვილი

კონკურსი „წმინდა ჯილდოს“ 2022 წლის ფინალისტი, თბილისის N37 ბაბა-ბაღის აღზრდელი

„მიუხედავად სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ჩემი მუშაობის მცირე გამოცდილებისა, მაღვე განა ნათელი, რომ ბავშვებისთვის შეთავაზებულ მრავალფეროვან თემებს შორის ყველაზე დიდ ინტერესს სწოხედ გაჩემოსდაცვითი თემები იწვევდა, ჩასაც ადსტუხებდა მათი ჩათულობა და უკუკავშირი, რომელსაც ვიღებდი, ჩოგოც პატაჩებისგან, ისე მათი მშობლებისგან. შემდგომმა 7-წლიანმა პრაქტიკამ დამაჩწმუნა, რომ „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების“ პირობაა აჩის ეთ-ეითი ყველაზე საინტერესო, აქტუალური საკითხებით, მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით, თანამეგოვე და ეფექტიანი მეთოდოლოგიით, ჩაც ხელს უწყობს ბავშვის პიროვნულ ზეგანა და გაჩემოზე მზუნველ მოქალაქედ ჩამოყალიბებას“.



პროგრამის გასავლელად საჭირო ნაბიჯები

01

ჩეგისჩაცია გაჩემოსდაცვითი ინფოჩმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე (ieic.gov.ge)

02

პირობაჩის კუჩის სხუდად გავდა

03

სეჩტიფიკატისა და დამხმარე სახელმძღვანელოს გადაცემა

გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში

სწავლების ფორმატი: **ონლაინ**
პროგრამის ხანგრძლივობა: **8 დღე**
სამიზნე ჯგუფი: **დანყებიითი საფეხურის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები**

საკონტაქტო პირი: **მარიამ ხარებავა**
ელ-ფოსტა: **Mariam.Kharebava@eiec.gov.ge**
ტელ: **(032) 2 11 20 23, 599 18 64 57**

პროგრამა შეიმუშავა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა 2020 წელს და მის მიზანს წარმოადგენს პედაგოგების შესაძლებლობების გაძლიერება შესაბამისი სახელმძღვანელოს მიხედვით გადაზიდვის გზით. სასწავლო კურსი აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა:

- მდგრადი განვითარება
- ბიომრავალფეროვნების დაცვა
- წყლის რესურსების დაცვა
- ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან
- კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება
- ნარჩენების მართვა
- მიწის მართვა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა
- სოფლის მეურნეობა, სურსათის უვნებლობა და ხარისხი

ტრენინგს „გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე **სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მინიჭებული აქვს 20-საათიანი სავალდებულო ტრენინგის სტატუსი**. კურსის დასრულების შემდეგ პედაგოგებს აქვთ შესაძლებლობა, სრულფასოვნად დააინტეგრირონ აღნიშნული საკითხები სწავლების პროცესში. კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მასწავლებლებს გადაეცემათ სერტიფიკატები და დამხმარე სახელმძღვანელოს კრებული „გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში“.

ნინო გუთიაშვილი
აჭრათის N1 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი



„გარემოსდაცვითი განათლება, ვფიქრო, ყველაზე პიოხიიტეტული პიოცესია დღევანდე სწავლებაში. ამ კუთხით მუშაობა ჩემთვის ახალი აჩაა, თუმცა, მე ხოგოხც მასწავლებელს, ძალიან დამეზმაჩა გარემოსდაცვითი ინფოხმაციისა და განათლების ცენტრის მიეხ ოგანიზებულ ტეინინგებზე მიღებული ცოდნა და უნაეები. სახედმძღვანელო „გარემოსდაცვითი და აგრაული განათლება სკოლაში“კი საუკეთესო დამხმარე მასადა მომავალი თაობის ხახისხიანი განათლებით უზუნევედყოფის მიზნით“.

ნინო გულაგარაშვილი
ბრანერი



„უკვე მეოე წელია, ჩაც ჩაათული ვაჩ მასშაბუხი პიოგაბის „გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში“ განხიციელების პიოცესში. ტეინინგებზე მასწავლებლები ახად ცოდნას, გამოციდეებასა და მეტ გამბედაობას იძენენ, ასევე სწავლობენ, ხოგოხ შექმნან კომპლექსუხი დავალება და პიოექტი, ხომელიც მოსწავდეებში ხელს შეუწყობს მგხადი განვითაეებისთვის საჭიო ცოდნის, უნაეების, დამოკიდებულებებისა და ღიეებულებების ჩამოყალიბებას. ყოველი ტეინინგის შემდეგ ვილებ მაღიეეებით სავსე წეიილებს, ჩაც კიდეუ უფო დიდ სტიმელს მაძლევს“.

შეიძინე წიფნა და უნარენი უკეთესი გარემოს შესაქმნელად



პროგრამის გასავლელად საჭირო ნაბიჯები

- 01 **ხევისტაცია გახუმოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე (eiec.gov.ge)**
- 02 **ტენინგზე დასასწავლები ელექტრონული ბმულის და ინსტრუქციის მიღება ცენტრისგან, ტენინგში მონაწილეობის დადასტურება ცენტრის მიერ შემოთავაზებულ თაჩილებში**
- 03 **პროგრამის კუხის სხუდად გავდა**
- 04 **წეიილობით დამოუკიდებდად საპროექტო იღვის ან კომპლექსუხი დავადების პიიობის შესხულება**
- 05 **პროგრამის გავლის დამადასტუებელი ცნობის მიღება ელექტრონული ფოხით**
- 06 **სეხტიფიკაციისა და დამხმაიე სახედმძღვანელოს გაგანა ცენტრიდან**

გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში

პროგრამა „გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში“ „პროფესიულ განათლებაში განსაკუთრებული მიღწევისთვის ჯილდოს“ (VET Excellence Award) მფლობელია. გამარჯვებული ევროკომისიის მიერ ორგანიზებული „ევროპის პროფესიული უნარების კვირეული 2022“-ის ფარგლებში, ხმის საჯარო მიცემის შედეგად გამოვლინდა.

პროგრამამ „გარემოსდაცვითი და აგრორული განათლება სკოლაში“ გამარჯვება ევროპულ ორგანიზაციებს შორის, ევროპის განათლების ფონდის (ETF) კონკურსის მხვანე უნარების კატეგორიაში მოიპოვა.

VET Excellence Award ევროპის მასშტაბით საუკეთესო პრაქტიკის წარმოჩენისა და აღიარების მიზნით, აერთიანებს სხვადასხვა კერძო და საჯარო ორგანიზაციას, სკოლასა და პროფესიული განათლების დაწესებულებას, რომლებიც საკუთარ გამოცდილებასა და წარმატებული საქმიანობის ისტორიას სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს უზიარებენ.



ახალგაზრდული გარემოსდაცვითი და აგრარული პროგრამები

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ერთ-ერთ მთავარ სამიზნე აუდიტორიას მოსწავლეები წარმოადგენენ. სწორედ ამიტომ, ცენტრის ბაზაზე შექმნილია ხუთი ახალგაზრდული პროგრამა: **ეკოლიდერთა სკოლა, სატყეო სკოლა, აგროსკოლა, კლიმატის ელჩები და კლიმატის ახალგაზრდა მოხალისეები.**

ეკოლიდერთა სკოლა

სწავლების ფორმატი: **თეორიული ნაწილი - ონლაინ, პრაქტიკული ნაწილი - პირისპირ**

სამიზნე ჯგუფი: **საჯარო და კერძო სკოლის IX-XII კლასის მოსწავლეები**

პროგრამის ხანგრძლივობა: **2 თვე, კვირაში ორი შეხვედრა ონლაინ ფორმატში**

საკონტაქტო პირი: **ანა ცაცანაშვილი**

ელ-ფოსტა: **ana.tsatsanashvili@ieec.gov.ge**

ტელ: **(032) 2 11 20 23, 555204321**

ეკოლიდერთა სკოლა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამაა, რომლის მიზანსაც ახალგაზრდა თაობისთვის გარემოსდაცვითი საკითხების სწავლება და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. დაინტერესებულ და მოტივირებულ ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა:

- თანამედროვე სწავლების მეთოდებით გაიღრმავონ ცოდნა გარემოსდაცვით სფეროში
- გაეცნონ სფეროში არსებულ გამოწვევებსა და საპასუხო ქმედებებს
- შეიძინონ თანამოაზრეები და მათთან ერთად პრაქტიკაში განახორციელონ საინტერესო პროექტები
- მომავალში აქტიურად ჩაერთონ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ღონისძიებებში

ეკოლიდერთა სკოლაში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და მათი შერჩევა კონკურსის საფუძველზე ხდება. სასწავლო კურსის ლექციებს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად მონეული სპიკერებიც ატარებენ. სასწავლო პროგრამის ფარგლებში IX-XII კლასის მოსწავლეები შეისწავლიან ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

ანი შამათავა

ეკოლიდერი

„გარემოსდაცვითი საკითხებით დაახლოებით 4 წლის წინ დავინტერესდი. მუდმივად ვიძიებ პოვეტებს, სადაც შევძლებ, ხოვოც საკუთარი თავისა და უნაჩების განვითაებას, ასევე თეოიილი ცოდნის გაღმავებას. ძიების პიოცესში წავაწდი ეკოლიდერთა სკოლის აპლიკაციას, შინაახსი იმეფნად მომეწონა, რომ ბევრი ახლ მივიჩნია, მაშინვე შევაყვს. რივივ ეტაპის წაჩმაგებით გავლის შემდეგ კი შემაგყობინეს, რომ გავხდი იმ დიდი ოჯახის წევრი, რომელიც საველა მოტივიჩებული, მიზანდასახული ახალგაზრდა ადამიანებითა და ექსპეჩებით, რომლებიც ყვედაფვის აკეთებდნენ ჩვენი ცნობიერების ასამაღლებად. ზოგადად, პოვექტი განსაკუთრებულია იმ კუთხით, რომ იგი ეხმარება ახალგაზრდა თაობას მათ იჩვევიც ახლებული გარემოსდაცვითი პიობდებების იფენტიფიციჩებაში და მათი გადაჭრის გზების ძიებაში. იმ თეოიილ და პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად განუზომელია ადამიანული უთიიჩითობები, რომლებიც პოვექტის განმავლობაში შევიძინე. ტეჩინივებასა და ხოლუხ თამაშებში მონაწილეობაში კი შემძინა ისეთი უნაჩები, ხოვოჩიცაა: დიდეჩობა, ჯგუფური მუშაობა, კიტიკული ახიოვნება, ითელ სიტუაციამში სწრაფი გადაწყვეტილების მიღება. გავხდი უფრო მეტად თავდაუხებელი და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ **პროექტი იყო ერთი-ერთი მამოტივირებული ფაქტორი ჩემი მომავალი პროფესიის არჩევისას, ვინაიდან გადაწყვიტე სწავლა გავაგრძელო საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის მიმართულებით. ჩემი გამოცდილებით, ეკოლიდერთა სკოლა არის ნაბიჯი წარმატებისკენ მიმავალ გზაზე.**“



- ადამიანის ეკოლოგიური უფლებები
- ნარჩენების მართვა
- ბიომრავალფეროვნების დაცვის მექანიზმები
- კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების რისკის შემცირება
- დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა და სხვა

პროგრამის გასავლელად საჭირო ნაბიჯები

01 **ჩევისტაცია გახეზოდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე (ieec.gov.ge)**

02 **სააპლიკაციო ფორმების გადმოწერა**

03 **გასუბილება**

ღივო მივაპა

პოლიფორი

